ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1226355

ნომერი: AR1211808

თარიღი : 11.04.2014

გაცემის თარიღი : 02.05.2014

გაცნობის თარიღი : 02.05.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბროსე , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესარიონ კალანდაძე პ/ნ 01019007977
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 35 ბ. 2

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.04.2014 წლის #1208822 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 11 აპრილს # AR1211808 განცხადებით

მომართა ბესარიონ კალანდაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 08.04.2014 წლის #1208822 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 08.04.2014 წლის #1208822 ბრძანებით ქ. თბილისში (სექტორი–მთაწმინდა), ბროსეს ქ. #2–ში, სააქციო საზოგადოება ,,აიდეკო''–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლასთან დაკავშირებით გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა.

სამსახურმა საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: დამკვეთის მიერ წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის საფუძველზე ირკვევა, რომ განმცხადებელი ითხოვდა მშენებლობის ვადის 6 კვირით გაგრძელებას, ხოლო სამსახურის 08.04.2014 წლის #1208822 ბრძანებაში მშენებლობის ვადად „2014 წლის 10 აპრილიდან 2014 წლის 22 მაისის ჩათვლით“ ნაცვლად მითითებულია „2014 წლის 10 აპრილიდან 2013 წლის 22 მაისის ჩათვლით“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს სამსახურის 08.04.2014 წლის #1208822 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა მშენებლობის ვადის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.04.2014 წლის #1208822 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა და ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
"2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 10 აპრილიდან 2014 წლის 22 მაისის ჩათვლით“.

1. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ– ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.04.2014 წლის #1208822 ბრძანებასთან ერთად.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.